

სს „ოქეი“ - მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

ფინანსური ანგარიშები და

დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი)

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	10
თანდართული შენიშვნების სარჩევი	
1. შესავალი	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და მომზადების საფუძველი	11
3. მნიშვნელოვანი ბუღალტრული გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები	18
4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები	19
5. ფული და ფულის ექვივალენტები	22
6. კლიენტებზე გაცემული სესხები	22
7. ძირითადი საშუალებები	24
8. არამატერიალური აქტივები	24
9. ნასესხები თანხები	25
10. სხვა ვალდებულებები	25
11. საპროცენტო შემოსავალი, წმინდა	26
12. წმინდა საკომისიო შემოსავალი/ (ხარჯი)	26
13. შემოსავალი ჯარიმებიდან	26
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	26
15. მოგების გადასახადი	27
16. უცხოური ვალუტის რისკი	28
17. საპროცენტო განაკვეთების რისკი	29
18. საკრედიტო რისკი	30
19. ლიკვიდურობის რისკი	30
20. კაპიტალის უკმარისობის რისკის მართვა	32
21. დაკავშირებული მხარეები	32
22. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები	33
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	34

სს „ოქეი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

2017 წლის 31 დეკემბერი

აღნიშნული დადგენილება, რომელსაც უნდა გაეცნოთ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის, მე-5, მე-6 გვერდებზე, მოცემულ დამოუკიდებელი აუდიტორის პასუხისმგებლობებთან ერთად, მომზადდა შპს „ოქეი“-ის (შემდგომში „კომპანია“) წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელი აუდიტორის პასუხისმგებლობებს შორის განსხვავებების წარმოჩენის მიზნით.

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინასწარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, შენიშვნა 3-ში აღწერილი სპეციალური დანიშნულების საფუძვლების შესაბამისად 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, და დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- წინასწარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე საქმიანობის უწყვეტობის დაშვებით, თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში ჯგუფის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- ეფექტური და სანდო შიდა კონტროლის შემუშავებასა, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 28 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი

31 ოქტომბერი, 2018

თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი

31 ოქტომბერი, 2018

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სს ოქეი-ს აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

ფინანსური ანგარიშგების შემოწმების დასკვნა

პირობითი მოსაზრება

ჩვენ შევამოწმეთ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სს ოქეი-ს (კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგები, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის და მოგება-ზარალის და სხვა ჯამური შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალის დინამიკის ანგარიშგებას და ანგარიშგებას ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ ამ თარიღში დასრულებული წლისათვის და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და სხვა განმარტებითი ინფორმაციის („ფინანსური ანგარიშგები“) შეჯამებას. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იქნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული ასპექტების გარდა, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის ფინანსურ მაჩვენებლებს და ფულადი საშუალებების მოძრაობას ამ თარიღში დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანია შემოსავალს ჯარიმებიდან აღიარებს საკასო მეთოდით და არ ხდება ჯარიმების დარიცხვა ვადაგადაცილებულ სასესხო ძირზე, რაც ეწინააღმდეგება ფასს-ს, 2017 წლის განმავლობაში შემოსავალი ჯარიმებიდან 52,645 (2016: 13,310). ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვეინა ინფორმაცია ჯარიმების დარიცხვაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო მდგომარეობით და შესაბამის შემოსავალზე ჯარიმებიდან.

ასევე კომპანიას აღიარებული აქვს გადავადებული მოგება ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლის ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 113,757 ლარს (2016 წლის 31 დეკემბერი და 2016 წლის 1 იანვარი - 0), კომპანია არ აღიარებს გადავადებული მოგების გადასახადის შემცირებას პერიოდის გასვლის პროპორციულად, შესაბამისად ჩვენ ვერ შევძელით მიგვეღო რწმუნება ამ ნაშთის სისწორეზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესაბამისად მის გაველანზე მოგება ან ზარალის უწყისზე.

ჩვენ გადავითვალეთ კომპანიის მიერ აღიარებული საკურსო სხვაობა და მივიღეთ მნიშვნელოვანი სხვაობები, თუმცა ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება უცხოურ ვალუტაში მოცემული ნაშთების და მათი ბრუნვების შესაბამისობაზე ეროვნულ ვალუტასთან, რის გამოც ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება საკურსო სხვაობების სისრულეზე, საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი 2017 წლის განმავლობაში არის 39,061 ლარი (2016: საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება 11,255).

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (IAS) შესაბამისად. ამ სტანდარტების მიხედვით ჩვენი პასუხისმგებლობები შემდგომში აღწერილია *აუდიტორის პასუხისმგებლობაში* ჩვენი ანგარიშის განყოფილებაში *ფინანსური მდგომარეობის აუდიტისათვის*. ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებელნი ვართ ბუღალტრების საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს *ეთიკის კოდექსის* თანხმად *პროფესიონალი ბუღალტრებისათვის* (IESBA Code), და ჩვენ შევასრულეთ ჩვენი ეთიკური პასუხისმგებლობები ამ მოთხოვნების და IESBA კოდექსის შესაბამისად. ჩვენ გვწამს, რომ აუდიტორული მონაცემები, რომელიც ჩვენ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისია, რათა საფუძველად დაედოს ჩვენს მოსაზრებებს.

ფუნქციონირებასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომლის გვიჩვენებს, რომ კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 1,423,649 ლარი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის, ასევე კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი საშუალებების წმინდა გადინებამ 2017 წლის განმავლობაში შეადგინა 774,698 ლარი. როგორც მე-2 შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას რომელიც შეტანილია წლიურ ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენ მოველით, რომ წლიური ანგარიშგება იქნება ხელმისაწვდომი ამ აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ს შესაბამისად და აგრეთვე შიდა კონტროლზე, როგორც მენეჯმენტი დაადგენს საჭიროდ, რათა შესაძლებელი იყოს ფინანსური ანგარიშგების მომზადება, სადაც არ იქნება მატერიალური ცდომილება შეცდომის ან თაღლითობის გამო.

ფინანსური ანგარიშის მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე მისი ფუნქციონირების შეუწყვეტლად, ინფორმაციის გახსნაზე, როდესაც მისაღებია, ფუნქციონირების უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და საქმიანობების განხორციელების უწყვეტობის საფუძველზე ანგარიშგების გამოყენებაზე, თუ მენეჯმენტი

მიზნად არ ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან არ წყვეტს ფუნქციონირებას, ან არ გააჩნია რაიმე შესაბამისი ალტერნატივა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISAs -ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, როდესაც იგი არსებობს, ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიჩნეულია, როგორც არსებითი, თუ, ერთობლივად ან ცალკე-ცალკე, მათგან გონივრულად მოსალოდნელია, რომ გავლენა იქონიონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რაც მიღებულია ამ ფინანსურ ანგარიშგებზე დაყრდნობით,

როგორც ISA-ს თანახმად ჩატარებული აუდიტის ნაწილი, ჩვენ ვახორციელებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის საშუალებით, ჩვენ აგრეთვე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, ვადგენთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკების საპასუხოდ და გავცემთ აუდიტის დასკვნას, რაც საკმარისია და შესაბამისია, იყოს ჩვენი მოსაზრების საფუძველი. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ-აღმოჩენის რისკი მაღალია, ვიდრე შეცდომის გამო წარმოშობილი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, სიყალბეს, მიზანმიმართულ გამოტოვებებს, მცდარ ინფორმაციას ან შიდა კონტროლის უკუგდებას.
- შიდა კონტროლის მიღება და გაცნობიერება, რომელიც აუდიტის შესაბამისია, რათა ჩამოყალიბდეს აუდიტის პროცედურები, რომლებიც შესაბამისია გარემოებებთან, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობის და საბუღალტრო გაანგარიშებების და მენეჯმენტის მიერ განხორციელებული მასთან დაკავშირებული აღმოჩენების გონივრულობის შეფასება.
- დასკვნის გაკეთება მენეჯმენტის მიერ ანგარიშგებისას ფუნქციონირების უწყვეტობის საფუძველის გამოყენების შესაბამისობის შესახებ და, მიღებული აუდიტის მტკიცებულებების საფუძველზე, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის უნარის შესახებ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობა, ჩვენს აუდიტის დასკვნაში ყურადღება უნდა მივაქციოთ ფინანსურ ანგარიშგებში მოცემულ მასთან გამოვლინებებს, ან, თუ აღნიშნული გამოვლინებები არის არადეკვატური, შევასწოროთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე. თუმცა, მომავალმა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის შეწყვეტა.

- ფინანსური ანგარიშების მთლიანი წარმოდგენის, სტრუქტურის და შინაარსის შეფასება, აღმოჩენების ჩათვლით, და წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშები საფუძვლად დადებულ გარიგებებს იმგვარად, რომ დაცული იყოს კეთილსინდისიერება.

ჩვენ დავუკავშირდით მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დადგენილი ფარგლების და დროის განრიგის და აუდიტის მნიშვნელოვანი დასკვნების შესახებ, შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლებობის ჩათვლით, რაც ჩვენ აუდიტის განმავლობაში აღმოვაჩინეთ. მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ჩვენ აგრეთვე მივაწოდეთ განცხადება, რომ ვიცავთ დამოუკიდებლობის შესახებ ეთიკის მოთხოვნებს და ვაცნობეთ ყველა კავშირის და სხვა საკითხების შესახებ, რამაც შესაძლოა გონივრულად დააბრკოლოს და კავშირი ჰქონდეს ჩვენს დამოუკიდებლობასთან, და აგრეთვე ვაცნობეთ, სადაც საჭიროა, მასთან დაკავშირებული დაცვის საშუალებები.

აუდიტორული შემოწმების ხელმძღვანელი, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა არის მალხაზ უჯმაჯურიძე.

შპს ნექსია თიეი-ს სახელით
თბილისი, საქართველო
ოქტომბერი 31, 2018

მისო სს ოქეი
მოგების ან ზარალის და სხვა ჯამური შემოსავლის შესახებ ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათასი ქართული ლარი)

	შენიშვნები	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი 31, 2016	1 იანვარი, 2016
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	342,596	311,575	4,977
კლიენტებზე გაცემული სესხები, წმინდა	6	1,024,459	434,283	14,470
ძირითადი საშუალებები	7	80,674	54,582	4,350
არამატერიალური აქტივები	8	334,732	1,178	-
საგადასახადო აქტივი		202,609	-	2,231
წინასწარ გადახდილი თანხები		21,000	5,473	-
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები		-	45	9,744
სულ აქტივები		2,006,070	807,136	35,772
ვალდებულებები				
ნასესხები თანხები	9	1,694,287	87,715	20,000
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	152,757	227,807	13,177
წინასწარ მიღებული თანხები		10,162	-	-
გადავადებული შემოსავლები		113,757	-	-
საგადასახადო ვალდებულება		-	28,050	-
სულ ვალდებულებები		1,970,963	343,572	33,177
კაპიტალი				
დამფუძნებლის კაპიტალი		1,466,631	495,235	18,000
პრივილეგირებული აქციები		250,000	200,000	-
გაუნაწილებელი მოგება		(1,681,524)	(231,671)	(15,405)
სულ კაპიტალი		35,107	463,564	2,595
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,006,070	807,136	35,772

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
ოქტომბერი 31, 2018 თბილისი, საქართველო	ოქტომბერი 31, 2018 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-34 წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტის დაკვნა მოცემულია გვერდებზე 2-5.

მისო სს ოქეი

მოგების ან ზარალის და სხვა ჯამური შემოსავლის შესახებ ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათასი ქართული ლარი)

	შენიშვნები	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი		283,269	44,068
საპროცენტო ხარჯები		(94,780)	(8,481)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	11	188,489	35,587
სესხების გაუფასურების რეზერვი	6	(756,256)	(35,269)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი		(567,767)	318
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	402,404	770,606
შემოსავალი ჯარიმებიდან		52,645	13,310
სავალუტო ოპერაციებიდან მოგება / (ზარალი)		33,999	21,707
სხვა შემოსავალი		36,926	10,661
არასაპროცენტო შემოსავალი		525,974	816,284
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(349,923)	(700,223)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(913,132)	(258,584)
საკუროსო მოგება / (ზარალი)		(73,060)	(10,452)
სხვა ხარჯები		(45,741)	(57,814)
საოპერაციო ხარჯები		(1,381,856)	(1,027,073)
მოგება დაბეგვრამდე		(1,423,649)	(210,472)
მიმდინარე მოგების გადასახადი	14		
სულ ჯამური შემოსავალი წლისთვის		(1,423,649)	(210,472)

შენიშვნები გვერდებზე 10-34 წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 2-5.

მისო სს ოქეი
 ანგარიში კაპიტალში ცვლილებების შესახებ
 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათასი ქართული ლარი)

	დამფუძნებლის კაპიტალი	პრემიუმი	პრივილეგირებული აქციები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი, 2016	18,000	-	-	(15,405)	2,595
ცვლილებები კაპიტალში	477,235	-	200,000	-	677,235
გაცემული დივიდენდები	-	-	-	(5,794)	(5,794)
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	-	-	(210,472)	(210,472)
31 დეკემბერი, 2016	495,235	-	200,000	(231,671)	463,564
ცვლილებები კაპიტალში	913,422	57,974	50,000	-	1,021,396
გაცემული დივიდენდები	-	-	-	(26,204)	(26,204)
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	-	-	(1,423,649)	(1,423,649)
31 დეკემბერი, 2017	1,408,657	57,974	250,000	(1,681,524)	35,107

შენიშვნები გვერდებზე 10-34 წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 2-5.

მისო სს ოქეი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება გადასახადებამდე	(1,423,649)	(210,472)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	42,123	7,152
საპროცენტო შემოსავალი	(283,269)	(44,068)
საპროცენტო ხარჯი	94,780	8,481
გაუფასურების ანარიცხები	756,256	35,269
წმინდა სარგებელი / (ზარალი) გაცვლითი კურსის სხვაობიდან	39,061	(11,255)
	(774,698)	(214,893)
ფულადი საშუალებების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და პასივებში ცვლილებებამდე		
შემცირება / (ზრდა) კლიენტებზე გაცემულ სესხებში	(1,346,432)	(455,081)
შემცირება / (ზრდა) წინასწარ გადახდილ თანხებში და სხვა აქტივებში	(218,136)	(5,473)
შემცირება / (ზრდა) სხვა ვალდებულებებში	48,869	214,630
	(1,515,699)	(245,925)
ფულადი საშუალებების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტსა და დაბეგვრამდე		
მიღებული პროცენტი	242,644	37,231
გადახდილი პროცენტი	(72,391)	(8,481)
	(2,120,144)	28,750
წმინდა ფულადი საშუალებების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი საშუალებების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(401,770)	(58,562)
დივიდენდის გადახდა	(26,204)	(5,967)
	(427,973)	(64,530)
წმინდა ფულადი საშუალებების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	1,585,713	106,301
ნასესხები საშუალებების დაფარვა	(4,830)	(51,171)
პრივილეგირებული აქციების გამოშვებით მიღებული ფული და ფულის ექვივალენტები	50,000	200,000
ჩვეულებრივი აქციების გამოშვებით მიღებული ფული და ფულის ექვივალენტები	913,422	144,000
	2,544,305	399,130
წმინდა ფულადი ნაკადების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
ფულადი საშუალებების და მისი ექვივალენტების წმინდა ზრდა	(3,813)	363,350
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში	311,575	4,977
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად საშუალებებსა და მის ექვივალენტებზე	34,833	(56,752)
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	342,596	311,575

შენიშვნები გვერდებზე 10-34 წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 2-5.

მისო სს ოქეი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

1. შესავალი

კორპორატიული ინფორმაცია

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სს ოქეი (კომპანია) ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ავტორიზებული იქნა გამოსაცემად დირექტორთა საბჭოს 2018 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ოქეი არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობების და დებულებების შესაბამისად. რეგისტრირებული მისამართი არის საბურთალოს რაიონი, დილმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორია, სართული 5, თბილისი, საქართველო.

კომპანიის მფლობელები არიან:

ჩვეულებრივი აქციები

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016	1 იანვარი, 2016
აქციონერები	ღირებულება	ღირებულება	ღირებულება
შპს საერთაშორისო კორპორაცია აი სი			
არ	360,656	356,713	18,000
ლევან ბაღდავაძე	150,000	50,000	-
ზაზა კიკვაძე	150,000	50,000	-
შპს გლობალ კორპორეიშენ	50,000	-	-
ლუკა პოპიაშვილი	300,000	-	-
ნიკოლოზ ფერიაშვილი	40,000	-	-
ირაკლი აფაქიძე	40,000	-	-
ენ ჯი აი	318,001	38,522	-
სულ	1,408,657	495,235	18,000

პრივილეგირებული აქციები

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016	1 იანვარი, 2016
აქციონერები	ღირებულება	ღირებულება	ღირებულება
შპს საერთაშორისო კორპორაცია აი სი			
არ	150,000	100,000	-
ლევან ბაღდავაძე	100,000	100,000	-
სულ	250,000	200,000	-

კომპანიის მმართველი ორგანო არის დირექტორთა საბჭო, კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი.

ოქეი არის რეალური ფინტეკი მიკროსაფინანსო ბაზარზე, რომელიც საშუალებას აძლევს საცალო მოვაჭრეებს გაყიდონ თავიანთი პროდუქტი ან სერვისი ბანკის განვადების ოფიცრის გარეშე. ასევე ოქეი არის საკრედიტო კომპანია, რომელიც სრულად დისტანციური ახორციელებს ონლაინ განვადებებს საკრედიტო კომპანიაში მისვლის გარეშე. სესხის საშუალო ვადიანობაა 6-დან 9 თვემდე.

საანგარიშგებო ვალუტა

კომპანიის ოფიციალური ვალუტა არის - ქართული ლარი (GEL). გარიგებები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღირიცხება ოფიციალურ ვალუტაში გარიგების დღისათვის საქართველოს

მისო სს ოქეი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მიმდინარე კურსით. ფულადი საშუალებები უცხოურ ვალუტაში ანგარიშგების დღისათვის კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საანგარიშო დღის სავალუტო კურსით. კურსის ყველა სხვაობა, რომელიც წარმოიშობა ანგარიშსწორებისას, ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთის კონვერტაციისათვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი არის შემდეგი:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016	1 იანვარი, 2016
1 USD/GEL	2.5922	2.6468	2.3966
1 EUR/GEL	3.1044	2.794	2.6137
ამ პერიოდისათვის საშუალო საპროცენტო განაკვეთი არის შემდეგი:			
	2017	2016	
1 USD/GEL	2.5086	2.3667	
1 EUR/GEL	2.8322	2.6172	

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის შესახებ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იქნა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (IFRS) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს მიერ. ისინი წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, მენეჯმენტის რწმენით, აღნიშნული ვალუტა უფრო სარგებელიანია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის და საუკეთესოდ ასახავს კომპანიის გარიგებების და საფუძვლად დადებული ღონისძიებების ეკონომიკურ არსს.

ეს არის პირველი წელი, როდესაც კომპანია აკეთებს ანგარიშგებას ფასს-ის შესაბამისად, ყველა სხვა ანგარიშგება კომპანიას მომზადებული აქვს ადგილობრივი ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმოს რისკი

ფინანსური ასპექტები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საფუძვლიანი ეჭვით კომპანიის შესაძლებლობებში, განაგრძოს საქმიანობა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

ქვემოთ ჩამოთვლილია მოვლენები, რომლებიც განაპირობებენ საფუძვლიანი ეჭვის წარმოშობას კომპანიის შესაძლებლობებში, განაგრძოს საქმიანობა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით. კომპანიას გააჩნია 1,694,287 ლარის მოზიდული სესხები ფიზიკური პირებისგან, რომლებიც არის მოკლევადიანი. კომპანიის მიერ გაცემული სესხების ოდენობა რეპორტირების თარიღისთვის არის 1,024,459. კომპანიას წლის ბოლოსთვის აქვს ურთიერთობები ლიკვიდურობის გეპი, რაც საეჭვოს ხდის მის უნარს გაისტუმროს ვალდებულებები.

მისო სს ოქეი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

იმისათვის, რომ კომპანიამ განაგრძოს შემდგომი საქმიანობა და განახორციელოს მნიშვნელოვანი ინვესტიციები, მას მოუწევს დამატებითი სესხების მოზიდვა რაც საექვო არსებული ფინანსური მდგომარეობით. კომპანიას მიმდინარე წელს სესხები აღარ გაუცია, ამიტომ არსებობს მნიშვნელოვანი რისკი, რომ მსესხებლები აღარ დაეხმარებიან კომპანიას ფინანსურად და მოითხოვენ გაწეული დაფინანსების უკან დაბრუნებას.

იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია ვეღარ ახერხებს დაფინანსების მოპოვებას და მისი ძირითადი საქმიანობა, რომელიც ეხება სესხების გაცემას, შეჩერებულია, კომპანიის ძირითადი მიზანი, განაგრძოს საქმიანობა, მხოლოდ წლის ბოლო მდგომარეობით გაცემული სესხების ამოღების მიზნით

აღნიშნული ანგარიშგების გამოცემამდე კომპანიამ ამოიღო გაცემული სესხების 57%, რომელიც ფიქსირდებოდა მის ბალანსზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მიღებული მოთხოვნების უდიდესი ნაწილი მოხმარდა სასესხო ვალდებულებების დაფარვას.

კომპანიას რეპორტირების თარიღიდან დღემდე გააჩნია უარყოფითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, რაც ქმნის მნიშვნელოვან რისკს იმისა, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მიმდინარე საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას.

ასევე 2018 წლის სექტემბრის ეროვნულმა ბანკმა გამოსცა ახალი რეგულაცია და დაუწესა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ახალი ნორმატივები. მენეჯმენტის ხედვით, კომპანია ვერ დაიცავს ამ კოეფიციენტებს და შესაბამისად მას სემდეგ რაც სრულად ამოიღებს გაცემულ სესხებს დატოვებს ინდუსტრიას.

საოპერაციო ასპექტები

იმ სირთულეების გათვალისწინებით, რომელიც დგას კომპანიის წინაშე, მენეჯმენტი განიხილავს, რომ შეწყვიტოს საოპერაციო საქმიანობა მას შემდეგ, რაც ის ამოიღებს მოთხოვნებს გაცემული სესხებიდან და დაფარავს სასესხო ვალდებულებებს. მენეჯმენტი მოელის, რომ მისაღები მოთხოვნების ამოღების პერიოდი გასტანს 2019 წლის პირველ ნახევრამდე, განიხილავს რა ფაქტს, რომ სესხების დაფარვის პერიოდი არ აღემატება ერთ წელს და ახალი სესხების გაცემა შეჩერებულია 2018 წლის მაისიდან.

სხვა ასპექტები

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოსცა ახალი რეგულაციები მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, რომელიც მოითხოვს, რომ აღნიშნულმა ორგანიზაციებმა დააკმაყოფილონ კაპიტალის მოთხოვნების და ლიკვიდურობის 16%-იანი კოეფიციენტები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული ანგარიშგების მომზადებისას, კომპანია ვერ ახერხებს აღნიშნული მოთხოვნების შესრულებას. განვიხილავთ რა, რომ ანგარიშგების გამოცემის შემდგომ კომპანიას შეჩერებული აქვს საოპერაციო საქმიანობა, ვუშვებთ, რომ კოეფიციენტების ვერ გამოსწორდება 2018 წლის ბოლოსთვის.

ფინანსური მაჩვენებლების შეფასების პრინციპები

გამოყენებული შეფასების პრინციპები არის შემენის ფაქტობრივი ღირებულების საფუძვლები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქვემოთ მოყვანილ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვაგვარად არის მითითებული.

მისო სს ოქეი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტი

ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტი არის ფული, მიმდინარე ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში და ფული მიმდინარე ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადი აღიარებულია მოგება-ზარალში, იმ ოდენობის გარდა, რომელიც უკავშირდება სხვა სრულ შემოსავალში აღიარებას ან პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ ოპერაციებს მფლობელებთან, რა შემთხვევაშიც მისი აღიარება ხდება ერთობლივ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. მიმდინარე გადასახადი მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი შემოსავლიდან მოქმედი ან ანგარიშგების დღისთვის არსებითად ძალაში შესული საგადასახადო ტარიფების გამოყენებითა და წინა წლებში გადასახდელი გადასახადის კოერქტირების გათვალისწინებით.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია კორპორაციული დაბეგვრის ესტონური მოდელის სახელით). წინა საგადასახადო რეჟიმი, რომლის მიხედვით, კომპანიები წლიური დასაბეგრი მოგების მიხედვით იხდიდნენ გადასახადს, ჩანაცვლდა სისტემით, რომლის მიხედვით გადასახადის გადახდა მოხდება მხოლოდ კორპორაციული მოგების განაწილების შემთხვევაში. კანონი ამოქმედდა 2016 წელს და ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის შემდგომი საგადასახადო პერიოდების მანძილზე ყველა პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთათვისაც კანონი 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

მოგების გადასახადის ახალი სისტემა არ ითვალისწინებს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, კომპანიები გადასახადს იხდიან მოგების განაწილების მომენტში, ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს განაწილებული მოგება წარმოადგენს. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც მფლობელებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას და წარმოადგენს უფასო მიწოდებას და დაშვებულს ზემოთ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ჩათვლა ვრცელდება 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მიმდინარე მოგების გადასახადზე, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2019 წელს ან მომდევნო წლებში. გადახდილი დივიდენდების მოგების გადასახადის აღიარება ხდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად იმისა, თუ როდის გადაიხდება ან რომელ პერიოდს ეკუთვნის აღნიშნული დივიდენდი.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომელიც შეძენილია კომპანიის მიერ და რომელთაც აქვთ განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადები, ნაჩვენებია საბალანსო ღირებულებით, დაგროვილი საამორტიზაციო და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. კომპანია ფლობს პროგრამულ უზრუნველყოფას, რომლის საექსპლუატაციო ვადა განისაზღვრება 5 წლით.

ფინანსური ინსტრუმენტები - საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და მეორე პირის ფინანსურ პასივს ან წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

საწყისი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, საწყისი აღიარებისას, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებადი ფინანსური აქტივები, მოგების ან ზარალის, კრედიტებისა და დებიტორული დავალიანების, დაფარვამდე დაკავებული ინვესტიციების, AFS ფინანსური აქტივების საშუალებით ან როგორც დერივატივები, შექმნილი, როგორც ხეჯირების ინსტრუმენტები ეფექტურ ხეჯში, როგორც შესაბამისია. კომპანია განსაზღვრავს თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას პირველადი აღიარებისას.

ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით პლუს, მოგების ან ზარალის საშუალებით არა სამართლიანი ღირებულებით შეფასებადი აქტივების შემთხვევაში, ტრანზაქციის ხარჯები, რაც მიეკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენას.

ფინანსური აქტივების შეძენა ან გაყიდვა, რომელიც მოითხოვს აქტივების მიწოდებას დროის იმ პერიოდში, რაც დადგენილია დებულებით ან კონვენციით ბაზარზე (გარიგების სტანდარტული პროცედურებით ვაჭრობა) აღიარებულია ვაჭრობის დღეს, ანუ თარიღზე, როდესაც კომპანია ახორციელებს აქტივების შეძენას ან გაყიდვას.

შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სამართლიანი ღირებულებით შეფასებადი ფინანსური აქტივები მოგების ან ზარალის საშუალებით

სამართლიანი ღირებულებით შეფასებადი ფინანსური აქტივები მოგების ან ზარალის საშუალებით მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რასაც ფლობს ვაჭრობისათვის და ფინანსურ აქტივებს, რაც განსაზღვრულია სამართლიანი ღირებულებით საწყისი აღიარების საფუძველზე მოგების ან ზარალის საშუალებით. ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია როგორც აქტივები, რომელსაც კომპანია ფლობს ვაჭრობისათვის თუ ისინი შეძენილია ახლო ვადაში გაყიდვის ან ხელახალი შეძენისათვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასებადი ფინანსური აქტივები მოგება-ზარალის საშუალებით შეტანილია ფინანსური მდგომარეობის შესახებ განაცხადში სამართლიანი ღირებულებით წმინდა ცვლილებებით სამართლიან ღირებულებაში, რაც წარმოდგენილია, როგორც ფინანსური შემოსავალი (დადებითი წმინდა ცვლილებები სამართლიან ღირებულებაში) ან ფინანსური ხარჯები (უარყოფითი წმინდა ცვლილებები სამართლიან ღირებულებაში) მოგების ან ზარალის შესახებ განაცხადში. კომპანიას არ განუსაზღვრია რაიმე სამართლიანი ღირებულებით შეფასებადი ფინანსური აქტივები საწყისი აღიარებისას მოგების ან ზარალის საშუალებით.

კრედიტები და დებიტორული დავალიანება

ეს კატეგორია ყველაზე მეტად შეესაბამება კომპანიას. კრედიტები და დებიტორული დავალიანებები არის არა-დერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრებადი გადასახდელებით, რომლებიც არაკოტირებულია აქტიურ ბაზარზე. საწყისი შეფასებისას, აღნიშნული ფინანსური

მისო სს ოქეი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

აქტივები შესაბამისად შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გაანგარიშდება ნებისმიერი ფასდათმობის ან შემენაზე პრემიის გათვალისწინებით და გადასახადების და ხარჯების გათვალისწინებით, რაც EIR -ს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. EIR ამორტიზაცია შედის ფინანსურ შემოსავალში, რაც მოცემულია მოგება-ზარალის შესახებ განაცხადში. ზარალი, რაც წარმოშობილია გაუფასურებისგან, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშში სასესხო ფინანსურ ხარჯებში და გაყიდვების ხარჯებში ან დებიტორული დავალიანებების საოპერაციო ხარჯებში.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივი (ან, როდესაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილი ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილი) ჩამოიწერება, როდესაც:

- აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების ვადა ამოწურულია, ან
- კომპანიამ თავისი უფლებები აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების შესახებ გადასცა, ან იკისრა ვალდებულება, სრულად, არსებითი დაკავების გარეშე გადაუხადოს მიღებული ფულადი ნაკადები მესამე მხარეს ტრანზიტული შეთანხმებით და ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივების არსებითად ყველა რისკი და სარგებელი ან (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც შეინარჩუნა აქტივების არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივებზე კონტროლი.

როდესაც კომპანიამ გადასცა აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო ტრანზიტული შეთანხმება, იგი აფასებს თუ, და რამდენად, შეინარჩუნა მან საკუთრების რისკები და სარგებელი. როდესაც იგი არც გადასცემს, არც ინარჩუნებს აქტივების არსებითად ყველა რისკს და სარგებელს და არ გადასცემს მათზე კონტროლს, აქტივი აღიარებულია იმდენად, რამდენადაც იგი აგრძელებს მასში ჩართულობას. ასეთ შემთხვევაში, კომპანია აგრეთვე აღიარებს ასოცირებულ ვალდებულებას. გადაცემული აქტივი და ასოცირებული ვალდებულება ფასდება იმ უფლებების და ვალდებულებების საფუძველზე, რომლებიც კომპანიამ შეინარჩუნა.

(ii) ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს, ყოველ საანგარიშო თარიღზე, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურდა. გაუფასურება არსებობს, თუ ერთ ან მეტ მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ (მიყენებული „ზარალის დადგომის შემთხვევა“), აქვს გავლენა ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის სამომავლო დაგეგმილ ფულად ნაკადებზე, რაც სანდოდ შეიძლება შეფასდეს. გაუფასურების ნიშანი შესაძლოა მოიცავდეს იმის მითითებას, რომ დებიტორები ან დებიტორთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, ადგილი აქვს ძირითადი თანხის ან სარგებლის გადახდის დარღვევას ან გადაუხდელობას, იმის ალბათობა რომ ისინი შესაძლოა გაკოტრდნენ ან განიცადონ სხვა ფინანსური რეორგანიზაცია და სადაც თვალსაჩინო მონაცემები მიუთითებენ, რომ ადგილი აქვს მნიშვნელოვან შემცირებას სამომავლო გეგმიურ ფულად ნაკადებში, როგორცაა ცვლილებები დავალიანებებში ან ეკონომიკური პირობები, რაც შეესაბამება ვალდებულებების შეუსრულებლობას.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისათვის, კომპანია უპირველესად აფასებს იმას, გაუფასურება არსებობს ინდივიდუალურად ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც ცალკე არის მნიშვნელოვანი, თუ ერთობლივად ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი. თუ ჯგუფი დაადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ არსებობს გაუფასურება ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივისათვის, იმის მიუხედავად,

მისო სს ოქეი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

იქნება ის მნიშვნელოვანი თუ არა, იგი მოიცავს აქტივს ფინანსური აქტივების ჯგუფში, მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლებით და ერთობლივად აფასებს მათ გაუფასურებასთან დაკავშირებით. აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად შეფასებულია გაუფასურებაზე და რომლისთვისაც გაუფასურების ზარალი არის, ან განაგრძობს იყოს, აღიარებული, არ შედის გაუფასურების ერთობლივ შეფასებაში.

გაუფასურების ზარალის თანხა, რომელიც ფასდება, როგორც განსხვავება აქტივების საბალანსო მაჩვენებლებსა და გეგმიური სამომავლო ნაღდი ფულის ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო გეგმიური საკრედიტო ზარალებისა, რომლებიც ჯერ არ დამდგარა). სამომავლო გეგმიური ნაღდი ფულის ნაკადების ახლანდელი ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

აქტივის საბალანსო მაჩვენებელი შემცირებულია შეფასებული რეზერვის ანგარიშის გამოყენებით და ზარალის ოდენობა აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშში. საპროცენტო შემოსავალი განაგრძობს დარიცხვას შემცირებულ საბალანსო მაჩვენებელზე საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც გამოყენებულია სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისათვის გაუფასურების ზარალის გაანგარიშების მიზნით. შემოსავალი პროცენტებიდან აღინუსხება, როგორც ფინანსური შემოსავლის ნაწილი მოგება-ზარალის ანგარიშში.

სესხები, თანხლებ დანამატებთან ერთად, ჩამოიწერება, როდესაც არ არსებობს სამომავლო ამოღების რეალური პერსპექტივა და ყველა უზრუნველყოფა რეალიზებული იქნა ან გადაეცა კომპანიას. თუ, მომდევნო წელს, შეფასებული გაუფასურების ზარალის თანხა იზრდება ან მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენის გამო, ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება შეფასებადი რეზერვის ანგარიშის რეგულირებით. თუ ჩამოწერა მოგვიანებით ამოღებულია, ამონაღები კრედიტდება ფინანსურ ხარჯებად მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური ვალდებულებები

საწყისი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, კლასიფიცირებულია, საწყისი აღიარების ეტაპზე, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალის, სესხების და ნასესხებების, გადასახდელების საშუალებით, ან როგორც დერივატივები, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც ხეჯირებული ინსტრუმენტები ეფექტურ ხეჯში, როგორც შესაბამისია.

ყველა ფინანსური ვალდებულება საწყის ეტაპზე აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და, სესხის და ნასესხებების და გადასახდელების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებული გარიგების ხარჯების გარეშე.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა გადასახდელებს, სესხებს და ნასესხებებს, ბანკის სესხების ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, შემდეგნაირად:

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგების ან ზარალის საშუალებით

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგების ან ზარალის საშუალებით მოიცავს ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებიც განკუთვნილია ვაჭრობისათვის და ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებიც საწყისი აღიარების დროს მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულებით გადაფასებად კატეგორიას მოგების ან ზარალის საშუალებით.

მისო სს ოქეი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც განსაზღვრული ვაჭრობისათვის, თუ ისინი შეძენილია ახლო დროში გაყიდვის მიზნით.

სესხები და კრედიტები

ეს არის კომპანიისათვის ყველაზე მეტად შესაბამისი კატეგორია. საწყისი აღიარების შემდეგ, სარგებლიანი სესხები და კრედიტები, შესაბამისად შეფასებულია საამორტიზაციო ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მოგებები და ზარალები აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც პასივები ჩამოწერილია აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR)მეთოდის საამორტიზაციო პროცესების საშუალებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება ნებისმიერი ფასდათმობის ან შეძენაზე პრემიის და მოსაკრებლების ან ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც EIR -ს შემადგენელი ნაწილია. EIR ამორტიზაცია შედის მოგება-ზარალის ანგარიშის დაფინანსების ხარჯებში.
ეს კატეგორია ზოგადად ვრცელდება სარგებლიან სესხებს და კრედიტებზე.

ჩამოწერა

ფინანსური ვალდებულება ჩამოწერილია, როდესაც ვალდებულების შესაბამისად მოვალეობა გაუქმებულია ან ვადაგასულია, ან აღარ ვრცელდება. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება შეიცვლება სხვა ვალდებულებით იგივე გამსესხებლისგან არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად იცვლება, აღნიშნული შეცვლა ან მოდიფიკაცია მიიჩნევა, როგორც თავდაპირველი ვალდებულების ჩამოწერა და ახალი ვალდებულების აღიარება. განსხვავება შესაბამის საბალანსო მაჩვენებლებში აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშში.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და პასივები ექვემდებარება ურთიერთჩათვლას, ხოლო წმინდა ოდენობა კონსოლიდირებულ ბალანსში ასახვას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლის სამართლებრივად მოქმედ უფლებას, და სახეზეა განზრახვა, წარმოებულ იქნას ურთიერთჩათვლა ნეტო-საფუძველზე ან ერთდროულად განხორციელებულ იქნას აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების შესრულება.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს საანგარიშგებო დღეს თუ გამოცხადებულ იყვნენ საანგარიშგებო პერიოდის დღემდე ან საანგარიშგებო პერიოდის დღეს. დივიდენდების გამჟღავნება ხდება მაშინ როდესაც ხდება მათი შეთავაზება საანგარიშგებო პერიოდის დღემდე ან საანგარიშგებო პერიოდის დღეს მაგრამ მანამდე სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამშვება.

საპროცენტო და მსგავსი შემოსავლები და ხარჯები

ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელიც იზომება ამორტიზირებული ღირებულებით, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რაც არის მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული განაკვეთი ფინანსური ინსტრუმენტის სრული სასიცხოვრო ვადით ან ნაკლებით, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

მისო სს ოქეი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

კალკულაცია ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას და მოიცავს დამატებით საკომისიოებს და ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ფინანსურ ინსტრუმენტთან და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მაგრამ არ ითვალისწინებს მომავალ შესაძლო დანაკარგებს. ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება იმ შემთხვევაში თუ კომპანია შეცვლის გადახდების ან თანხის მიღების პირობებს. კორექტირებული საბალანსო ღირებულება ითვლება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და ცვლილება საბალანსო ღირებულებაში აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი ან შემოსავალი.

მაშინ როდესაც ფინანსური აქტივის ღირებულება მცირდება შესაძლო დანაკარგების ანარიცხების გამო, საპროცენტო შემოსავალი განაგრძობს დარიცხვას თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ახალ საბალანსო ღირებულებაზე.

საკომისიო შემოსავლები

კომპანია იღებს საკომისიო შემოსავლებს კლიენტებზე გაწეული მომსახურებებიდან. საკომისიო შემოსავალი შეიძლება დაიყოს შემდეგ ორ კატეგორიად:

საკომისიო შემოსავლები გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაწეული მომსახურებიდან

საკომისიო შემოსავლები პერიოდის განმავლობაში გაწეული მომსახურებებიდან აღიარდება პერიოდის განმავლობაში. სესხების საკომისიო გადასახადები გადავადებულია (ნებისმიერ დამატებით ხარჯებთან ერთად) და აღიარებულია სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირებით.

საკომისიო შემოსავლები ცალკეული გარიგების მომსახურებიდან

კლიენტის მიერ ცალკეული ტრანზაქციებისგან წარმოქმნილი საფასური აღიარებულია ძირითადი გარიგების დასრულებამდე. საფასურის ან კომპონენტების გარკვეული კომპეტენციის მქონე საფასურის კომპონენტები აღიარებულია შესაბამისი გარიგების მომსახურების შესრულების შემდეგ.

3. მნიშვნელოვანი ბუღალტრული გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტისგან გადაწყვეტილებების მიღებას, შეფასებების და ვარაუდების შემუშავებას, რასაც გავლენა აქვს ანგარიშში მოყვანილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ოდენობაზე და თანმხლებ გამოვლინებებზე და სადავო ვალდებულებების გამოვლინებაზე. გაურკვევლობამ ამ ვარაუდებსა და შეფასებებთან დაკავშირებით შესაძლოა მიგვიყვანოს შედეგებამდე, რაც საჭიროებს აქტივების და პასივების საბალანსო მაჩვენებლების არსებით რეგულირებას, რომლებიც შეიცვლება სამომავლო პერიოდში.

სესხების შესაძლო დანაკარგების ანარიცხები

კომპანია რეგულარულად განიხილავს თავის კრედიტებს გაუფასურების თვალსაზრისით. გაუფასურების დანაკარგები განისაზღვრება მიყენებული გაუფასურების დანაკარგების აღიარებისათვის მის პორტფელში ისტორიული გადაწყვეტილებების შესაბამისად. კომპანიას აქვს თავისი მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გაუფასურების დანაკარგები, ეს მეთოდოლოგია და სახელმძღვანელოები რეგულარულად გადიან მონიტორინგს და გადაიხედებიან.

